საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტიის მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.; უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 2000 მან.

№ 120

ოთხშაბათი იანვრის 11

1922 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური გაზეთი

ტრიბუნა

ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.

1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 45.000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 2000 მანეთი.

უფასოდ გაზეთი აღარავის გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,

რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ხელოვნების სასახლე

სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს იანვრის 12-ს

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო

მართავს მერვე ლიტერატურულ ხუთშაბათს

საზეიმო სალამო

ალიგიერი დანტე.

სიტყვები:
კოწია გამსახურდია,
ლეო ქიაჩელი,
კოკი აბაშიძე.

მოწვეულნი არიან სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

შესავალი ბილეთები იყიდება მწერალთა საბჭოს მდივანთან ხელოვნების სასახლეში 12 დან 1 საათამდის.

დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

## განცხადება

ს. ს. ს. რესპუბლიკის საბჭოების მომწვევი ცენტრალური საარჩევნო კომისია მოთავსებულია საქართველოს რევკომის სასახლეში, ოთახი № 22, ტელეფონი № 11—69. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 10-დან 2 საათამდე.

## დიდი რუსეთი და დიდი რევოლუცია.

„აუცილებელია, რომ საბჭოთა ორგანოები განაპირა ქვეყნებში, სასამართლო, ადმინისტრაცია, სამეურნეო ორგანოები, ხელისუფლების უშუალო ორგანოები, (აგრეთვე პარტიის ორგანოებიც) შედგენის დაგვარად შემდგარი იყოს ადგილობრივი ხალხის მიერ, რომლებმაც იციან ხალხის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, ენა და სხვა“.

ი. სტალინი.

ქართველი ხალხი თუ რუსეთის რევოლუციას დიდი აღფრთოვანებით შეეგება, ეს აღფრთოვანება შედეგი იყო ზემოდ დასახელებულ მიზანთა განხორციელების შესაძლეობისა. რუსეთის დიდი რევოლუცია მაშინ იქნებოდა ქართველი მუშისათვის დიდი რევოლუცია, თუ იგი ერთი მხრივ მის ეროვნულ უფლებებს უზრუნველყოფდა და მეორე მხრით ეკონომიური უღლიდან გაანთავისუფლებდა.

ასეთი იყო ის ორი დიდი ფაქტორი, რომელიც ქართველ ხალხს აკავშირებდა რუსეთის რევოლუციას.

და მართლაც სხვა გვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო. რუსეთის საქართველოში შემოსვლით, ჩვენს მიწა-წყალზე გასულ საუკუნეში ერთმანეთს დაუპირისპირდა ორი სრულიად გარკვეული და ურთი-ერთისათვის უცნობი კულტურა. სულ სხვა ხასიათის, სხვა შეგნების, სხვა გვარი ფიზიონომიის ძალთა დაპირისპირებას ქონდა ადგილი და შეუძლებელიც იყო არ მომხდარიყო ამ ძალთა შორის ანტაგონიზმი.

რამდენათაც მეტი იყო წინააღმდეგობა დამხვდურის, იმდენათ მეტი იყო დაწოლება მოსულის და რადგან „დიდი რუსეთი“ თავისი ფიზიკური ძლიერებით ფეხ-ქვეშ თელავდა ყოველივე იმასა, რაც ერისათვის წმიდათა წმიდა იყო, რადგან „დიდი რუსეთი“ თავისი ბარბაროსული სიტლანქით სპობდა და ანადგურებდა ყოველივე ჩანასახს ეროვნული სუვერენობისა და ეროვნული თვით-არსებობისას, ბუნებრივად ქართველ ხალხში ძლიერდებოდა ანტიპატია, საპროტესტო ენერგია „დიდი რუსეთის“ იდეისა.

ქართველი ხალხი მტერი და მებრძოლი „დიდი რუსეთის“ წინააღმდეგ მოსურნე იყო „დიდი რევოლუციის“ რომლის გამარჯვება აუცილებლად „დიდი რუსეთის“ ძირდამპალი ბიუროკრატიის დამხობა იქნებოდა.

ასე აზროვნებდა ქართველი ხალხი, ასეთი იყო მისი სულისკვეთება და მართლაც „დიდი რუსეთის“ იდეა ანტიპოდია „დიდი რევოლუციის იდეისა რა თქმა უნდა თუ ეს „სიდიდე“ მიღებული იქნება, როგორც კვალიფიკაცია იმპერიალისტური „მთლიანობისა“.

ამიტომ, რადგანაც საქართველოს პოლიტიკურ სარბიელზე გავლენას ახდენს „ახალი რუსეთი“, საჭიროა მეტად ფრთხილი და ელასტიური პოლიტიკა, რომ ყველასათვის ცხადი და აშკარა იყოს, სახღვარი „დიდ რუსეთსა“ და „დიდ რევოლუციას“ შორის.

საუკეთესო იარაღი ასეთი პოლიტიკისათვის არის არა ეროვნული ნიჰილიზმი, არამედ საღი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ გაბატონებს საქართველოში ქართულ ენას, დაიცავს სახელმწიფოს სუვერენობის ატრიბუტებს მტკიცედ და ურყევლად, გააფიქსირებს ეკონომიური ცხოვრების საფუძველს ბუნებრივ ძალთა უტილიზაციით და ეროვნულ სახელმწიფოებრივი მშენებლობით ყოველივე ნიადაგს გამოაცლის შოვინისტურად განწყობილ ელემენტებს, რომელთათვის ეროვნული გრძნობებით სპეკულაცია საუკეთესო დასაყრდენია შავი და ბნელი ზრახვებისათვის.

ყოველივე ამას კარგად გრძნობს ჩვენი თანამემამულე ი. სტალინი, რომელიც კომპეტენტური წარმომადგენელია ბოლშევიზმისა ნაციონალურ საკითხში, როდესაც იგი აფრთხილებს განაპირა ქვეყნების ხელისუფალთ, რომ საჭიროა ადგილობრივი ელემენტების გაძლიერება მართველობაში და დიდი ანგარიშის გაწევა მკვიდრთა უფლებების, მისი ზნე-ჩვეულების, ენის...

და მართლაც, თუ რუსეთის რევოლუცია ურყევლად არ დაადგა ჩაგრულ ერთა ინტერესების დაცვას, თუ მან არ იმოქმედა ინტერნაციონალური ხასიათით, იგი ნაციონალური მოძრაობის ხასიათს მიიღებს და ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება დიდი რევოლუციის სახელწოდების მატარებელი და იგი მოქცეული ნაციონალურ ფარგლებში ან და, თუ გნებავთ, ყოფილი რუსეთის საზღვრებში, აუცილებლად დამარცხდება.

ამიტომ საჭიროა ვემსახუროთ არა დიდი რუსეთის იდეას, არამედ დიდი რევოლუციის იდეას. დიდი რევოლუცია კი იქნება ის რევოლუცია, რომელიც თავის სამართლიან ხიდიდეს და ხიდიდეს მოუპოვებს, როგორც დიდ რუსეთს, ისე ჩვენს პატარა საქართველოსაც..

ხერ. ამაღლობელი.

## აღნაქვსისთვის

ქართულ ენას მისწრაფება აქვს ზოგჯერ ერთი სიტყვა იხმაროს გამოსახატავად რამდენიმე საგნისა. ასეთი სიტყვები ზოგჯერ თვით ენაშია, ზოგჯერ კიდევ არსებობა მოუპოვებიათ როგორც ახალ სიტყვებს, ნეოლოგიზმებს, რომელიც მწერლებს შეუთხზავთ. მაგალითად მამიდ, დეიდა, ძმად და დად მოკიდებულს ქართველი ეძახდა და ეხლაც ეძახის მამობილს, დედობილს, ძმობილს და დობილს, მაგრამ XVIII საუკუნეში შეუქმნიათ საკუთარი სიტყვა ხსენებულ ცნებათა გამოსახატავად და, როგორც საბა ორბელიანი გვაუწყებს, სიტყვა იყო ყოფილა ბილი, რომელიც ნაწილია სიტყვისა, ე. ი. წარმომდგენს სიტყვის ჩასართ ალხ, რასაც თავს დართვია სიტყვის საფუძვლის უკანასკნელი ხმა ბ მამობილის და სხვათა მაგიერ თქმულა მოკლედ ბილი. სამწუხაროდ საბა ორბელიანი არას გვეუბნება, მან, თუ ვინმე სხვამ შესთხზა ხსენებული სიტყვა.

რაკი ეხლა ჩვეულებად შემოსულა ყველას დიდის, თუ პატარის, ქალის თუ ვაჟის გაურჩევლად ამხანაგად მოკიდება, ამხანაგობით ხსენება, სიტყვა ზიდა დიდ როლს ითამაშებდა. მისი თქმით ურთიერთობრივი დაახლოვება უთუოდ გამოიხატებოდა, მაგრამ ამ დაახლოვების ვითარქმნას ადგილი აღარ ექნებოდა. ქართულ ენას ხომ უყვარს იხმაროს მარტივად სიტყვა მაგანი, როცა სახელის ხსენება არა ჰსურს.

შეხვედრის დროს ერთმანეთს მოვიკითხავთ, როგორ ხართო. ამის პასუხის მიცემა ერთი სიტყვით უთუოდ ძლიერ ძნელი ყოფილა, რომ მოსწრებულ გურულს შეუთხზავს სიტყვა ხავათ. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სავით სიტყვის გაჩენას პრინციპიც ისეთივეა, როგორც ბილისათვის, ე. ი. სავულებელი სიტყვისაგან დაუტოვებია ვით თანდებული, რომელიც მსგავსებას ჰხატავს და ხა ჩასართი იმ სიტყვისა, რომელიც აღნიშნავს მდგომარეობის ნამდვილ ვითარების და რომლის გამომეტყველებაც სხვა და სხვა მიზეზის გამო არ უნდებია, სავით სიტყვა ისე იყო გავრცელებული გასული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, რომ ჩვენი ახალი პოეტების სახელგანთქმულმა ბიოგრაფმა იონა მეუნარგიამ ცალკე წერილიც კი უძღვნა გაზ. ივერიაში.

ხმარებაში შემოსულა სიტყვა თვინიერი, როგორც აღმნიშვნელი კარგის რამ თვისებისა. იტყვიან, თვინიერიაო, როცა არა ჰსურთ ცუდად ხსენება. სიტყვა თვინიერი სწარმოებს თვინიერ უარყოფითი თანდებულისაგან, რომელიც მოითხოვს ნათესაობით ბრუნვას. როცა ვიტყოდით, თვინიერ საქმისაო, უნდა ვიგულისხმოთ უსაქმური. ნათქვამია სარწმუნოება თვინიერ საქმისა მკვდარ არსო. მაშასადამე თვინიერი პირველად ყოფილა უარყოფის გამომთქმელი სიტყვა და თანხმარი უ „უარყოფითი თანდებულისა, ხოლო თუ დღეს გადაგვიქცევია დადებით სახელ სართად იმის გამო, რომ აღარ გვსურს ხსენება დამახასიათებელი სხვა და სხვა ცუდი თვისებისა და მოკლედ ვამბობთ, თვინიერიაო, ვითომც უმისო, არა აქვს ეს, თუ ის ცუდი რამ, რაც დასახელებელი უნდა ყოფილიყო.

დედამთილ-მამამთილის სამკვიდროს აღსანიშნავად გაჩენილა სიტყვა ხამთიადი, რომელიც წარმოებულა მთილახაგან, რა დაურთავს თავს ხა. იხმარება თითქოს დასაპირდაპირებლად ცოლეთურის, რომელიც მოასწავებს ცოლის ანუ სიდედრ-სიმამრის სამკვიდროს.

იმერელს აჩენია ერთსა და იმავე დროს რამდენიმე საქმე, მაგრამ ისეთი, რომ ყოველი მათგანი თავისკენ ეწეოდა რა კი ვერაფერს გამხდარა და გასაწევგამოსაწევად თვითონვე გადაქცეულა, ამდგარა და ასეთი მდგომარეობისთვის უწოდებია გაწამაწია, რომელიც არა თუ მოსწრებული, არამედ ფიგურალი სიტყვაც არის.

აღნაქვსის საკითხი ენის კულტურის დარგში დიდი საკითხია, არც გადასწყდება ამ მცირე შენიშვნით. მაგრამ ეხლა, როცა სოციალისტური კულტურის წინაშე ვდგავართ, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა ენის განვითარებასა. რუსეთის სოციალისტური რევოლუცია რუსულ მართლწერა მეტყველებაშიაც შეიჭრა, ქართულ მართლ წერა-მეტყველებას კი, როგორც ტეხა გამოვლილს და დადუღებულს არ სჭირია ასეთი გარდაქმნა. ქართველ ხალხს და მის კულტურას წინ წასწევს რევოლუციონური გენია, რომელიც შესაფერ აღნაქვსსაც შექმნის უკვე შემუშავებული საკულტურო ნორმების საფუძველზე. ამის გამო ქართული ენის ბედი განვითარების გეზი არ უნდა ასცდეს მისი ბუნების კვალსა. მოვალე ვართ ჩვენი ენა დავიცვათ გადაგვარებისაგან. გვახსოვდეს მარად, რომ აზრის ცხოველ უკვდავმყოფელია მშვენიერი ფორმა. ჩვენ რომ სხვების მიბაძვით ქარაგმა სიტყვა ვიკითხოთ და სალაპარაკოდ ვიხმაროთ ქარაგმის გაუხსნელად დავემსგავსებით უ-უსურსა, რომელსაც სამეტყველო სახსარი განუვითარებლობის გამო უჭირს სიტყვის მთლიანად და მკაფიოდ გამოთქმა. ხასლკომი, ადგილკომი ზედმეტად კიდევ რუსული ქარაგმიანი სიტყვები რომ შემოვიღოთ სახმარებლად, მით ვერ შევქმნით სოციალისტურ კულტურას, ქართულ ენას კი დავამახინჯებთ. სოციალისტური კულტურა სრულიად არ მოითხოვს ენის დამახინჯებას.

პეტრე მირიანაშვილი.

## ახალი ამბები

— იანვრის 9, საღამოს გარდაიცვალა ცნობილი აშუღ ჰაზირა.

— ვასილ ბარნოვის ახალი რომანი. ჩვენს მხცოვანს ბელეტრისტს დაუწერია ახალი რომანი ტფილისის ცხოვრებიდან: „თეთრი გვირგვინი“.

## უცხოეთი

ნაუენი. 4 იანვარი. საფრანგეთის ექსპერიმენტები აღიარებენ ელზასის ტუტის (პოტაშის) წარმოების სრულს დაცემას. ექსპერტების აზრით, დაუყოვნებლივ უნდა დავიწყოთ ეკონომიური თანამშრომლობა გერმანიასთან, რადგან ამაში არსებითად დაინტერესებულია ელზას-ლოტარინგიის მრეწველობა.

რომი. 4 იანვ. ფრანგულ ცნობებით, ბელგრადის მთავრობამ ყველა შესაფერი ბოდიში მოიხადა იტალიის ხელისუფალთა წინაშე. იტალია-სერბიის კონფლიქტი გათავებულად ჩაითვლება.

პარიზი. 4. იანვ. მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენელთა თათბირი ევროპის ეკონომიურ აღდგენისათვის საჭირო ზომების შესახებ, დასრულდა. სასწრაფოთ ადგენენ მოხსენებას თათბირის შედეგების შესახებ. „მოხსენება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის აღდგენას. ამ მოხსენებას და თათბირის ყველა მასალებს წარუდგენენ კანის კონფერენციას.

პარიზი. 30 დეკ. რადგან პორტუგალიაში ძლიერდება რევოლუციონური მოძრაობა, ამიტომ იქაური მდგომარეობა საშიშათ მიაჩნიათ, მსხვილ ქალაქებში მუშებს შეტაკებები მოუხდათ ჯარის ნაწილებთან. პორტუგალიის მთავრობამ ანტანტის სამხედრო გემების გაგზავნა სთხოვა ლისაბონის ნავთსადგურში.

„კომუნისტების“ ლიკვიდაცია

პეტროგრადი. 30 დეკ. (ტელ.) ლატვიის მთავრობა ოფიციალურად იუწყება საოლქო კომუნისტური ორგანიზაციის საბოლოო ლიკვიდაციის შესახებ, რადგან ორგანიზაციის უმთავრესი მოღვაწენი დატუსაღებულ იქმნენო.

ლონდონი. „ეკოლონის“ სააგენტო იტყობინება, რომ ინდოეთის მომავლისთვის დადგა კრიტიკული მომენტი. მზადდება რევოლუცია, ინგლისის ხელისუფალთა ბოიკოტის ნიადაგ ქვეშ. ამ ხელისუფალთა განკარგულებით დატუსაღებული იქნა ეროვნულ კონგრესის მრავალი გამოჩენილი წევრი, მათ შორის კონგრესის თავმჯდომარე ბენგალის ხალიფატის საბჭოს თავმჯდომარეც.

— ინდოეთის ამბების შესახებ გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია: „ბოიკოტის მომხრეებმა საბრძოლველათ გამოიწვიეს ბრიტანიის მთავრობა მით, რომ მათ აკრძალეს ევროპელ წოდებულ მოხალისეთა მოკრება. მთავრობას სხვა გზა არა აქვს, უნდა აიძულოს ისინი კანონს დაემორჩილონ. ამიტომ მთავრობამ გადასწყვიტა სამართალში მისცეს ბოიკოტისტების პასუხისმგებელი მეთაურები“. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ბოიკოტის 260 პროპაგანდისტიდან 160 კაცს მიუსაჯეს დაპატიმრება 2 წლამდე. პოლიციამ გაჩხრიკა ხალიფატის კომიტეტის ბიურო, კონფისკაცია უყო ყველა ქაღალდებს და დაატუსაღა კომიტეტის წევრები.

ანგორა. 17 დეკ. ანატოლიის სააგენტო იუწყება ლლოიდ-ჯორჯის და ლორდ კერზონის კერძო თათბირის დროს, საბერძნეთის დელეგაციასთან გამოიმუშავეს საბერძნეთის დელეგაციის მოქმედების ხაზი ინგლისისა და საფრანგეთის მიმართ. საბერძნეთის დელეგაცია მზათაა მიიღოს ყველა პირობები, რომლებსაც წარუდგენენ მას ინგლისი,

საფრანგეთი და იტალია და ბეჯითათ მოითხოვს საბერძნეთის საზღვრების გაფართოებას მარმარილოს ზღვის ნაპირამდე. ათინის წყაროებიდან მიღებულ ცნობებით, ინგლისის მთავრობა ამაში მხარს დაუჭერს და შემწეობას გაუწევს საბერძნეთის დელეგაციას.

პარიზი. 20 დეკემბერი. გაზ, „ექსცელსიორის“ ცნობით, მწერალ კლოდ-ფარერმა გაუზიარა თავის მოსაზრებანი საფრანგეთ-ანგორის ხელშეკრულების შესახებ პრესის წარმომადგენელს. „ვაძლევთ რა ცნობილ უფლებებს ოსმალებს ოსმალეთში, ჩვენ, სთქვა ფარერმა, ამით ხელს უწყობთ ზავის დამყარებას. ჩვენ რომ მოგვეცა ეს უპირატესობა ბერძნებისათვის, მაშინ დაზარალდებოდა ყველა დანარჩენი მოსახლეობა. ჩვენ უბრუნებდით კილიკიას მის კანონიერ მფლობელებს. დეე იმათ, ვინც ფლობს ამ ქამად სმირნასა და ადრიანოპოლს, მიჰბაძონ ჩვენ მაგალითს. რაც შეეხება უმცირესობათა ინტერესების დაცვას, არ არის რეალური ინტერესები, რომლებიც ჩვენ შეგვეძლო დაგვეცვა. ვინაიდან მართლმადიდებელი ელემენტები გაცილებით უფრო შორს დგანან ჩვენგან, ვინემ მუსულმანები. ჩვენ პირდაპირ ინტერესებს შეადგენს, რომ ისლამი იყოს თავისთავის, ვინაიდან მართლმადიდებლობა სდევნის ლათინურ სარწმუნოების წარმომადგენლებს. როგორც ოსმალები ამის შესახებ სრულიადაც არ ფიქრობენ.

# თეატრი და ხელოვნება

### სახელმწიფო ოპერა „ტოსკა“.

პუჩინის ოპერა „ტოსკა“ თანამედროვე მუსიკალური დრამის საუკეთესო ნიმუშთაგანია. მოქმედ პირთა ტრაგიკული განცდა სავსებით ნათელყოფილია პუჩინის მელოდიით აღსავსე მუსიკაში.

ცენტრალურ ფიგურათ მსახიობი ქალი ფლორია ტოსკა არის ასახული. ტოსკას პარტია ამ რამოდენიმე წლის წინად შექმნა მოქ. ალეშკომ და მის ვრცელ რეპერტუარში საპატიო ადგილიც უჭირავს. ის დეტალურად შემუშავებულია, როგორც ვოკალური, ისე სცენიური მხრითაც.

ფლორია ტოსკას პირველ გამოსვლისთანავე მოქ. ალეშკო იპყრობს მსმენელის ყურადღებას და დრამის თანდათან განვითარების დროს იმონებს მაყურებელ მსმენელს.

უეჭველია, რომ მომღერალი თვით განიცდის სცენაზე ტოსკას უბედურებას.

საუკეთესო მომენტები მეორე მოქმედებაშია სკარპიოსთან ერთად. აქ განცდათა ისეთი მრავალფეროვნებაა, სილამაზე-სიმღერაში! ლოცვის შესრულებისას მოქ. ალეშკომ გამოიწვია დაუსრულებელი ოვაციები, ხოლო უკანასკნელ აქტში, როცა ის ხედავს, რომ მისი საყვარელი ნამდვილად დაუხვრეტიათ, მისი თამაშით მსმენელი შეძრწუნებულია ჭეშმარიტ განცდისაგან.

მეტად სასიამოვნო აღსანიშნავია, რომ მოქ. სარაჯიშვილი თანდათან დასრულებულ სახეს იღებს. ტოსკას საყვარლის მხატვარ მარიო კავარადოსის პარტია მომღერალს სავსებით აქვს დასრულებული და განცდილი. კარგია სცენა საყდარში, როცა კავარადოსი ჯერ კიდევ არ განიცდის დრამას, სტკბება გამოჩენილ მსახიობ ქალის სიყვარულით, ხუმრობს, ლაღობს. სულ სხვა მდგომარეობაა მეორე აქტში, როცა კავარადოსი გრძნობს, რომ ყოვლად შემძლე სკარპიას და მისი ჯაშუშების ხელშია.

აქ სარაჯიშვილს საკმაო დრამატიზმი აქვს შესრულებაში და ლირიკო-დრამატიზმი სიმღერაში, ტემპერამენტში.

კარგათ იყო შესრულებული არია ციხეში, მაგრამ სამწუხაროა, რომ ამ არიას მომღერალი იტალიანურად ასრულებს: ენათა არევა ხელს უშლის მხატვრულ შთაბეჭდილების შექმნას.

მოქ. ინაშვილის შესრულებაში სკარპიოს პარტია სულ სხვა სახეს იღებს.

სკარპიო ყოვლად შემძლეა, მის და მისმა ჯაშუშებმა ტერორის შიშით შეზოჭეს რომის მოქალაქენი. მხოლოდ ერთი სიტყვა „სკარპიო“ —შიშს ჰგვრის ყველას. მასშია განსახიერებული ის საშინელი რეაქცია, რომელიც სუფევდა იტალიეთში 19 საუკუნის დასაწყისში და, რომელიც გამოწვეულ იქნა რევოლიუციის მიერ. განდევნილ ბურბონების დაბრუნებით.

სკარპიო გრძნობს ამას და სასტიკია მაგრამ ის არ ღელდება, პირიქით, შეტადიურად აკეთებს თავის საქმეებს. ამის ახაზვა საჭიროა, მოქ. ინაშვილი კი ყვირის ღელავს, ბობოქრობს. პარტია არც ვოკალური მხრიდან არის შემუშავებული.

კარგი კანონიკია—მოქ. დემიანენკო. ჯაშუშის ნამდვილ ტიპს იძლევა მოქ. კურბატოვი.

აღსანიშნავია შესამჩნევი დადგმა და სინათლის ეფექტები, განსაკუთრებით გათენება რომში.

ხორომ სასიამოვნოდ შეასრულა კანტანტი.

მოქ. კომპანეელი სკარპიოსა და ტოსკას დიალოგში, კავარადოსის არიაში და ტოსკას ლოცვის დროს აყოვნებს ტემპოს, მაგრამ ეს უკეთესიც და დროულიც გამოდგა.

პ. ბ.

# სამხატვრო სკოლაში

კვირას, იანვრის 9-ს სამხატვრო-სახელოსნო სკოლაში (ყოფილი „განათლება“) გაიმართა ტრადიციული სადამო.

მოწვეულნი იყვნენ მოსწავლეთა მშობლები და საპატიო სტუმრები.

დასაწყისად: მოხსენება წაიკითხა მოსწავლე ქალმა ბერძნიშვილმა: „ნიკო ბარათაშვილი“. მოხსენებაში ორიგინალური სახეები და ახალგაზრდული ენერგია სჩანდა. სხვა მოსწავლეთა მაგალითად უნდა ითქვას, რომ ამ მოსწავლეს ეტყობა თანდათანობითი გაზრდა და უეჭველად ადგილობრივ ხელისუფალთაგან სათუთ მოპყრობას თხოულობს.

შემდგომ ახალგაზრდა მომღერალ ჩოხელის ინიციატივით დაიდგა რამდენიმე შარადა ცოცხალ ინსცენიროვკით, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

ცქრიალა მოსწავლეებმა საუცხოვოდ წაიკითხეს ლექსები: ი. გრიშაშვილისა, ა. შანშიაშვილისა, ს. ფაშალიშვილისა, ქ-ნ მარიჯანისა, სანდრო ყანჩელის და სხვ.

დასასრულ მომღერალ მადალაშვილის ლოტბარობით შესრულებული იქნა ჩვენი კომპოზიტორების მიერ გადაღებული ქართული სიმღერები.

დიდი მადლობის ღირსია მასწავლებელი ქალი დვინიაშვილი და განსაკუთრებით კი ამ სასწავლებლის გამგე:—მარიამ ვახტანგის ასული მაჩაბლისა, რომელიც დედობრივის ხალისით თავს დაჰფრფვინავს ამ სასწავლებელს და ნამდვილის ქართველობით ზრუნავს მოწაფეთა წარმატებისთვის.

სალამომ განთიადამდე გასტანა.

ფირუზი.

# დადგენილება № 121

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

შრომის უნარის მქონე მცხოვრებთა სასწრაფო აღნუსხვის შესახებ.

ადგილობრივ, სოფლის მცხოვრებთა შორის, შრომისა და შარაგზით ტვირთზიდვის ბეგარის მოსაწესრიგებლად, გლეხობისათვის ამ ბეგარით დაკისრებული მოვალეობის შესამსუბუქებლად, ბეგარის განხორციელების დროს უფლების დარღვევისა და ბოროტმოქმედების აღსაკვეთად, აგრეთვე ამ ბეგარის თანასწორი განაწილებისათვის ცალკე მეურნეობათა შორის და შრომისა შარაგზით ტვირთზიდვის საშუალებათა ბეგარისთვის მტკიცე ნორმების შესამუშავებლად, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს შრომის სახალხო კომისარიატს, ერთი თვის ვადაზე, დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა,—მოახდინოს მთელად რესპუბლიკაში შრომის უნარის მქონე სოფლის მცხოვრებთა და შარა გზით ტვირთზიდვის საშუალებათა აღნუსხვა.

2. დაევალოს ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სამაზრო და ადგილობრივ (სარაიონო და სასოფლო) რევოლიუციონურ კომიტეტებს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება შრომის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს [illegible] ვენი.

3. უფლება ეძლევა შრომის სახალხო კომისარიატს ამა დადგენილების განვითარებისა და დასამატებლად გამოსცეს ხოლმე ბრძანება, ინსტრუქცია და ცირკულიარი.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მის გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ს. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე.

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი. ალ. სალარიძე.

1921 წ დეკემბრის „28„ ტფილისი—სასახლე.

## კულტურული მუშაობა საქართველოს წითელ ჯარში

სამშაბათს 3 იანვარს 1922 წ. არსენალის მუშათა კლუბში პირველ ლეგიონის პოლ. განმ. კომისიის ინიციატივით, გაიმართა სადამო-წარმოდგენა—რუსეთის დამშეულთა სასარგებლოთ, შემდეგი პროგრამით 1. კონცერტი—მონაწილეობდნენ: პოლიტ. განმ. განყოფ. საკონცერტო დასიდან ლისიციანი კურბატოვი, ქურხული, კავსაძე, ვენაძე და სხვა. შესრულებული იქნა რომანსები, დუეტები და არიები, რითაც დამსწრე საზოგადოება და წითელ არმიელები დიდი ნასიამოვნები დარჩნენ 2. ამავე ლეგიონის პოლიტ. განმ. კომისიასთან არსებულ ქართულ დრამატიულ დასის მიერ იქნა წარმოდგენილი 2 მოქ. კომედია „მაიყუში“, ავქ. ცაგარელისა. პიესამ კარგათ ჩაიარა, 3. წითელ-არმიელების მიერ იქნა გამართული ქდივერტისმენტი: წაიკითხეს ლექსები, სცენები კუპლეტები, 4. დაბოლოს გაიმართა ევროპიული და აზიური ცეკვა. სადამოს სუფთა შემოსავალი დარჩა—797,000 მან. ფული გადაეცა ცენტრალურ კომ. დამშეულებისათვის, პიესას ხელმძღვანელობდა ამხ. გუმელი. შემდეგი წარმოდგენა განზრახულია ოთხშაბათს, 11 იანვარს: წარმოდგენილი იქნება ს. ერთაწმინდელის პიესა „სიკვდილით დასჯა“ დრ. 3 მოქ,

კანო.

## ღია ბარათი

„ბარრიკადშია“ ბიბლიოგრაფია: სადაც „ლომისზეა“ლაპარაკი. ნათქვამია„სხვათა შორის, თითქო გ. ტაბიძეს„ გარდა ჩემი ჟურნალ „ტფილისისა“ ლექსი არსად დაებეჭდოს,

მე მინდა განვაცხადო, რომ ჟურნალი „ტფილისი“ არ გამოსულა მხოლოდ ჩემი რედაქტორობით. მას ჰყავდა შესაფერი კოლლეგია და არვიცი ბიბლიოგრაფიის დამწერი რით ხელმძღვანელობდა ზემო ნათქვამში სიტყვების დროს.

რაც შეეხება მეტოქეობას, ზედმეტია ლაპარაკი, რადგანაც ჩემი გზა პოეზიაში სრულიად განსაკუთრებულია და პატივის მცემელი ვარ ლიტერატურული ეთიკით გალაკტიონის იძლენათ, რამდენათაც ცალ-ცალკე „ცისფერი ყანწელების“.

გიონ ხაგანელი.

## შეცდომის გასწორება.

გუშინდელ ნომერში ამხ. სერ. ამადლობელის წერილში არის შემდეგი კორექტორული შეცდომა. სწერია—„როგორც შენშევიზმა დაიჩოქა ეროვნული იდეის წინაშე, ისე დაიჩოქებს ყველა გაუსწორებელი ფილისტები ეროვნულ საკითხში“. უნდა იყოს—„ყველა გაუსწორებელი ფილისტერები ეროვნულ ეაკითხში“.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია

გამომცემელი— მთავარი კომიტეტი.

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მოცემული სენაკის მაზრის სოფ. გეჯეთის რევკომიდან 3 თვის ვადით და თან მასთან მეტრიკული მოწმობა სინოდალურ კანტორიდან მოცემული. ჩაითვალოს გაუქმებულად. ივანე გაბოს ძე თურქია.

175

# ქალთა კულტის ნამთები საქართველოში.

№ 5*)

ათონის ივერიის ღვთის მშობლის მონასტერში ნაპოვნი სიგელ გუჯრები გვიმოწმებენ, თუ როგორ უცქეროდა ღვთის მშობელს ქართველი ხალხი და მისი მეფენი.

1757 წ. მეფე სოლომონის სიგელ გუჯარში სწერია: „ქ ჩ ყოვლად დიდებულ, კურთხეულო, უხრწნელო და ყოველთა ხათესავთაგან საპატრონელო დედოფალო ღვთის მშობელო, უმაღლესო წმიდათა ანგელოზთა და მთავარ [illegible] და ყოვლად დიდებულთა [illegible]. ჩვენ მსახურმან სიწმიდისა შენისამან მეფე სოლომონმა და თანამეცხედრე ჩვენმა დედოფალმა ასულმა [illegible] მარიამ გუჯარი [illegible] და შემოვწირეთ მონასტრისა [illegible] ჩვენ, საქართველოსა [illegible] ღვთისმშობლისა გლეხი [illegible]“... და სხვა. იქვე ნაპოვნი სიგელ გუჯარი მეფე ირაკლისა ამბობს: „ესე [illegible] არს ქერავიმთა და სერაფიმთა საყდართა, ესე უპატიოსნეს [illegible] ძალთა და ხელმწიფებათა, [illegible] არს მთავართა [illegible] ანგელოზთა და ანგელოზთა. ესე არს სასოება ცხოვრებისა საუკუნესა ვინაითგან ამის მიერ იქმნა განთავისუფლება სიკვდილისაგან ესე არს ცხოვრებისაცა მიმხიზებელი: ამისთვის ისწრაფდიან ამისა დიდებად მეფენი და მთავარნი და ერნი. რომელნიმე ადიდებენ ეკლესიასა სახელისა მისისა ზედა, რომელნიმე მასვე ეკლესიასა შეამკობენ შესაწირავითა, რომელიმე თაყვანსცემენ გონებისა სარწმუნოებითა და ცრემლითა მხურვალეთა ევედრებიან და ეხრეთ მოელიან ცხოვრებასა და ქრისტესგან გამოხსნასა, ვინაიდან მოწყალისა მშობელი არს“. და სხვა და სხვა.

ასეთი შინაარსისაა იმ მეფის გუჯარი რომელსაც ხალხი სიცოცხლეში ეუბნებოდა: მტერი, რა მტერი. ოდეს ქართველი ბატონ ერეკლეს ცოცხალსა ხედავსო“, და სიკვდილის შემდეგ იგივე ხალხი ლექსად იტყოდა:

„მეფე ერეკლე ზეცას არს
ღმერთთან არს წილნაყარიო“.

მაგრამ მეფე მაინც, რადგან მეფეა, საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ მარტო მეფეთა გუჯრები არ არის აღმოჩენილი ათონის მთაწმინდის მონასტერში. იქვე ნაპოვნია თვით გლეხის გუჯარიც. მაგალითად თელავის მცხოვრები მეჩექმე დემეტრა თემურაშვილისა, რომელიც სწირავს თავის თავს და თავის შვილებს უკანასკნელთა შთამომავლობით ივერიის ღვთისმშობელს *), აღნიშნული სიგელ-გუჯრები საკმარისად ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ძლიერებით მოსილი მიაჩნდა ქართველთ; მეფე, დიდებულებს და მშრომელ ხალხს ღვთის მშობელი. აპოკრიფიულ მოთხრობანი ნათელს ჰფენს ხალხის საერთო შეხედულობას ამ საგანზე. „წმინდა ღვთისმშობლისაგან კაცთა ცოდვილთა სატანჯველთა ხილვა“ გადმოგვცემს საუბარს ღვთისმშობლისა და მთავარ ანგელოზ მიხაილის შორის, სადაც მთავარ ანგელოზი შემდეგი სიტყვებით მიმართავს მას: „ეჰა ცასა ცათასა უმაღლესო, ქერუბინთა უდიდებულესო, რამე თუ განდიდდა სახელი შენი უფროს ვრცელსა სამყაროსაო“.

თუ ეს ფაქტები იმის მაჩვენებელი, რომ საქართველოში მთავარ ღმერთად წმ. გიორგი ითვლებოდა? განა თითოეულ ჩვენთაგანს არ გვახსოვს თუ როგორ უცქეროდით ღვთისმშობელსა და წმინდა გიორგის? ღვთისმშობელი მორწმუნე ქართველს ისეთი ძლევა-მოსილი დიდებულობით ესახებოდა, რომლის ნება-სურვილს არა თუ წმ. გიორგი მთელი წმინდანთა შეერთებული ძალა წინ ვერ აღუდგებოდა. და ასეთს სიძლიერეს მისსას ბადებდა ხალხის გულში თვით სახელწოდება ღვთისმშობლისა, რომელსაც თუ არ დიდის მოწიწებით და მორიდებით სხვანაირად ვერ გადახედავდა ის ხალხი, რომელიც ტრადიციულად დედის უდიდესი პატივის მცემელი იყო.

„ვაიმე დედის ამაგსა
რო ვერ გადვიხდი რა უყო,
ზურგს ავიკიდო სამლითა?
რო ვერა ვზიდო რა უყო?
დავვგდო დედამიწასა
ქვეყნის ჰინჯელას ხმა უყო?“

იტყოდა ხოლმე ქართველი ხალხი. და ის ხალხი, რომელიც ასეთი შინაარსის ლექსსა თხზავდა, რომელიც ამგვარად აფასებდა თავის მომაკვდავი დედის ამაგს, განა სხვაფრივ წარმოიდგენდა ღვთის დედას, თუ არ უძლიერესსა და უპატივცემულეს წმინდანათ? ცხადია რომ არა!

გადავხედოთ ახლა იმ ხალხურ ლექსებს, რომელიც გამოთქმულია წმ. გიორგისზე და ღვთის მშობელზე, რომ დავინახოთ უკანასკნელის აღმატებულება პირველზე. აი რას ამბობს მაგალ. ხალხური ლექსი ღვთის მშობელზე:

„ყოვლად წმინადა ღვთის მშობელმა
ქვეყნის შენება ინება,
ზურგა ზეცას დრუბელი
თავს წვიმის ჩამოდინება“.

ცისათვის დრუბლის ბიძება და ქვეყნის შენება ადვილი საქმე არ არის და მცირე ღვთაების ძალღონეს აღემატება.

წმ. გიორგის კი ხალხი ამგვარად უგალობს:

„ატოცის წმინდა გიორგი
მადლა გორაზე სვენია,
ნადირი ბევრი მოუდის
არჩევი ირემი მშვენია.
დათვს რადა მაარბენინებს?
ვაი შიში რა ძნელია!“

როგორც ვხედავთ ამ ლექსში გარდა ადამიანური სიგმირისა, სხვა არაფერი ზესთაბუნებრივი ძლიერება არ იხატება.

კატო მიქელაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) ის. „ტრიბუნა“ № 119.

*) იб. Иверский монастирь на Аөонѣ в Турции А. Натроева изд. 1910 г.